# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათი, 16 მარტი 1910 წ

№ 34



გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. საზღვარ-გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით—15 კაპ. [illegible] სამღვდელოებისა და [illegible] 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. [illegible] ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთის ფ ა ს ი: თფილისში და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ. [illegible]

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

გაზეთი გამოსაცემი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.



ქართული თეატრი

შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:

I

[illegible]

[illegible]

მონაწილეობას მიიღებენ: [illegible]

II

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი კოლოტოვისა, ბ ნნი ევლახიშვილი, ივანე სარაჯიშვილი და პალცევი.

სხვათა შორის შესრულებენ: 1) კოლოტოვსა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას (სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4) სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—ოპერა „დონ-ჟუანიდან".

ამავე საღამოს ბ-ნი სარაჯიშვილი პირველად შეასრულებს ორკესტრით არაყიშვილის ახალ ოპერიდან, «შოთა-რუსთაველიდან» მგოსნის არიას, ტექსტი ხახანაშვილისა.

ყველა ზემოთ ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულათ იქნება შესრულებული.

წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე ი. კარგარეთელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

„სოტირი ადის" (ბაღდადის)

აბრეშუმ ს თესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათია მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარ-გარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიციალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარიინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ). (12—6)



თეთრი უპირველესი აბრეშუმის თესლი, ბაღდადის ჯიშისა

მიხრან ხანჯიანისა

სტამბოლი-არტაანელი

საუკეთესო თეთრი აბრეშუმის თესლი ბაღდადის ჯიშისა

თეთრი ბანდეროლით

მსურველმა უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Гостиница „Кавказъ" кв 33. (4—2)



საკოოპერაციო ამხანაგობა

ოზოროში

ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

ამით აუწყებს მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტართ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა

შეკერილ ტანისამოსის განყოფილება.

ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა კორტიკულიარული ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული. ფასები შეუვაჭრებლათ, კონკურენციის გარეშე. მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—4)



დაიკარგა

ოთხშაბათს, 10 მარტს, ღამის 10 საათზე ტრამვაის ვაგონიდან.

ქართული გაზეთები

„ახალი სხივი" და „დროება"

პროვინციაში გასაგზავნი, შეკრულიშვიდ პაჩკათ, დაახლოვებით 730 ცალი. უმორჩილესათ ვთხოვ მპოვნელს მოგვიტანოს სად. თფილისის წიგნის შკაფში ებანოიძესთან, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ს ა ჩ უ ქ ა რ ს.

პავლე ებანოიძე.



ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესა: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 2 ზემო სართულში. (0—16)



დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის" გამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія.

0—8



კბილის ექიმი

ს. გამყრელიძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 30

რის დალმართი სახ. 15.



კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.



კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 71 № (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)



ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით ილია ბახტაძე წაიკითხავს საჯარო ლექციას ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაოდალევსა და ჭიათურაში შემდეგ თემებზე:

„ბატონ ყმობა და დანიელ ჭონქაძე" და ჩვენი ახალგაზდა პოეტები: ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია"

ლექციის წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში ცალკე აფიშებით ეცნობება საზოგადოებას. (8—ის.—3)


## პრესა

ხომიაკოვის გადადგომამ და ა. ი. გუჩკოვის სახ. დუმის თავმჯდომარეთ არჩევამ რუსეთის ჟურნალ-გაზეთები აალაპარაკა. თითქმის ყველა პროგრესიული მიმართულების გაზეთები იმ შეხედულებას გამოსთქვამენ, რომ დეპუტატის სკამიდან თავმჯდომარის სავარძელში გუჩკოვის გადასკუპება დუმის უფერულ ცხოვრებაში ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანს.

„უტ. როს." სწერს:

„დუმის უმრავლესობის ფაქტიური ხელმძღვანელი რომ თავმჯდომარის ტრიბუნას იჭერდეს, ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა საპარლამენტო ისტორიაში. ეს ჩვეულებათ არ არის შემოღებული. ლიდერი პარტიას სჭირდება. ულიდეროთ დარჩენილ პარტიას შეუძლია ისეთი შეცდომები დაუშვას, რომელიც მისთვის საბედისწერო შეიქნება.... და თუ, მიუხედავათ ამისა, გუჩკოვმა მაინც მიიღო თავმჯდომარის თანამდებობა, ამას თავისი სერიოზული მიზეზებიც ჰქონდა. ოქტომბრისტების ბანაკი განსაცდელშია. მათი მჭიდრო ფრაქცია ირღვევა და დნება, როგორც გაზაფხულის თოვლი... სადღაც პარტიამ უკვე დაკარგა პრესტიჟის უკანასკნელი ნასახიც კი.

გუჩკოვის უსაზღვრო თავმოყვარეობას დიდი საფრთხე მოელოდა—ის უნდა დარჩენილიყო ერთი მუჭა დეპუტატების ლიდერათ. ასეთ პირობებში ის არა თუ დუმაში კარგავდა გავლენას, არამედ—ტრაგიკომიკურ მდგომარეობაშიაც ვარდებოდა. ასეთ სამწუხარო მომავალს გაექცა გუჩკოვი და თავმჯდომარის სავარძელს მიაშურა, რომელიც მას ბრწყინვალე მომავლისაკენ უხსნის გზას. გუჩკოვმა უღალატა მეზღვაურთა ჩვეულებასაც. უიმედო თანამშრომლები დასაღუპავ გემზე დასტოვა და კაპიტანი პირველი გადახტა გაწირულ გემიდან თავისაშველ ნავში.

უველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუჩკოვი მაინც ვერ შველის 17 ოქტომბრის ფრაქციის დაღუპვას. ფრაქციის გახრწნა-დარღვევა შეუჩერებლივ იწარმოებს—გუჩკოვის თავმჯდომარეობის დროს შეიძლება ორჯელ უფრო დაჩქარებით, ვინემ გუჩკოვ-ლიდერის დროს ხდებოდა.

„რუსკ. სლოვო" სწერს:

ძლიერი პარტიების ხელმძღვანელებს არასოდეს არ ხიბლავს თავმჯდომარის სავარძელი. მათ არასოდეს არ ირჩევენ თავმჯდომარეთ ზედა ან ქვედა პალატაში. პარტიის ლიდერი „პოსტზე" უნდა დარჩეს და თავისი საქმე აკეთოს. პარტიის თავის მოკვეთა ადვილი არ არის. მაგრამ არც ერთი პარტია, ყველასათვის მისახვედრი მიზეზების გამო, არ მოისურვებს საკუთარი ხელით თავის მოცილებას. და თუ ჩვენში მოხდა ის, რაც სხვაგან არ ხდება, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიაც მესამე დუმა არის ჩაყენებული... გუჩკოვი დუმის თავმჯდომარეობაზე დათანხმდა პირადული ანგარიშებით. ოქტომბრისტ დეპუტატებს შორის მას მოსწყინდა. ორ წელიწად ნახევარში. „ხელმძღვანელმა პარტიამ" დაკარგა 40 დეპუტატი. ფრაქციიდან გასულნი სხვადასხვა ჯგუფებს შეუერთდენ... დაუძლურებული ოქტომბრისტები ამ ჟამათ მთლათ უფერული შეიქნენ და ძლივს-და დაფავენ სულს. გუჩკოვი პარტიულ თანამოაზრეებს აფასებს იმდენათ, რამდენათ ისინი გუჩკოვს პირადი მიზნების განსახორციელებლათ გამოადგებიან. თუ დღეს ოქტომბრისტებს ძალა აღარ შესწევთ, რომ გუჩკოვისთვის პირველი ფიგურის ადგილი უზრუნველყონ დუმაში, საჭიროა ლიდერმა სხვა, უფრო უშიშარი ადგილი მოსძებნოს. ჯერ ბევრი რამ საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ ბევრ რამეს კი ნათელი მოეფინა. აღმოჩნდა, რომ ა. ი. გუჩკოვი ახალი წლიდან დაწყებული განზრახ ამწვავებდა თავმჯდომარის კრიზისს და ყოველგვარი საშუალებით ხომიაკოვს თავმჯდომარის ადგილიდან ერეკებოდა. დუმის უძლურ ცენტრში ის ისეთი კანდიდატი იყო, რომელსაც მოპირდაპირე არ ჰყავდა... გუჩკოვის თავმჯდომარეობა იმაზე მეტს ვერაფერს ვერ იზამს სახ. დუმისათვის, რაც მან ოქტომბრისტთა ფრაქციისათვის შესძლო... რაც იყო, იგივე იქნება. გუჩკოვის თავმჯდომარის ადგილზე გამოჩენა ვერაფერს ვერ შესცვლის. თვით გუჩკოვს, რასაკვირველია, შეუძლია შეიცვალოს. ევოლიუციას ყველა ხნოვანება ემორჩილება.

გუჩკოვი ყურმოჭრილი მონაა სამინისტროსი, რომელსაც ის უმთავრეს ფაქტორათ სთვლის სახელმწიფო და საკანონმდებლო ცხოვრებისათვის. გუჩკოვის უკანასკნელათ ნათქვამი სიტყვები: „ჩვენ ვიცდით", აშკარათ მოწმობს იმას, რომ გუჩკოვ თავმჯდომარე მხოლოდ სამინისტროს დირექტივების განმახორციელებელი იქნება..."

გუჩკოვი და მისი პარტია რომ „სამინისტროს დირექტივების განმახორციელებელი იქნება", იყო და არის, ეს დღემდისაც ყველასათვის ნათელი და აშკარა იყო. ტყვილათ კი არ ეძახიან ოქტომბრისტებს—„მთავრობის უკანასკნელი განკარგულების პარტიას". ის, ვინც თვალს ადევნებდა ოქტომბრისტების და კერძოთ მათი ლიდერის გუჩკოვის მოღვაწეობას, მისთვის აქ მოულოდნელი და გასაკვირალი არაფერია. გუჩკოვს ტყუილათ კი არ უთქვამს: „ჩვენ ვიცდითო". დიახ, ოქტომბრისტები იცდიან, მარა ჩვენ გვწამს, რომ დღევანდელი მდგომარეობა გუჩკოვთან ერთად არ დაიცდის, ის თავის გზას იპოვის და სანამ გუჩკოვი და მისი პარტია ზღვის ნაპირას მჯდომარე გამოდარების ცდაში იქნება, ის კიდევაც თავის მიზანს მიაღწევს. და ეს მოხდება არა გუჩკოვის და მისი პარტიის „წყალობით", არამედ—მათი ნების და სანქციის გარეშე.

## სახელმწიფო დუმა,

(სააგ. დეპ.)

13 მარტი.

განაგრძობენ სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**ეგოროვი** ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ ღებულობენ სამუშაო ქირას სამთო სამადნო მუშები. მრავალ ქარხნებში მუშებს ფულის მაგიერ კუპონებს აძლევენ და ამ გვარათ მუშები ხშირათ ჰკარგავენ 50%. ორატორი წინადადებას იძლევა დაარსდეს ისეთი კასა, სადაც შესაძლებელი იქნება ამ კუპონების დახურდავება. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ საზოგადოთ რუსეთში ცუდათ არის დაყენებული შრომის დაცვის საქმე.

დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით.

**სვენიცკი** მოხსენებას აკეთებს სავაჭრო, საზღვაო და ნავთსადგურების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. გამოანგარიშებულია 11,723,861 მანეთი, კომისიას შეუმცირებია 969,919 მანეთით. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყველა სურვილებიდან უწყებას შეუსრულებია მხოლოდ ერთი.

**ზვეგინცევი** ლაპარაკობს თავისუფალ ფლოტის მეურნეობის შესახებ და მოითხოვს შემუშავებულ იქნას ახალი დებულება და უმთავრესი ყურადღება მიექცეს იმას, რომ წარმოდგენილ იქნას დუმაში თავისუფალი ფლოტის ხარჯთ-აღრიცხვა.

დუმა ღებულობს ამ მუხლს მომხსენებლის წინადადების თანახმათ.

სხდომა სწყდება.

სხდომის განახლებისას დუმა უკამათოთ ღებულობს მიწათ-მოქმედების მთავარ გამგეობის კანცელიარიის ხარჯთ-აღრიცხვას.

**ოპოჩინინი** მოხსენებას აკეთებს სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. გამოანგარიშებულია 21,995 558 მანეთი, კომისიას შეუმცირებია 596,211 მანეთით.

**კროპოტოვი** ამბობს, რომ მთავრობის მიზანია შექმნას „მაგარი" გლეხები და ღარიბებზე არაფერს ფიქრობს. ის ქმნის მეორე ხარისხის მემამულეებს—„კულაკებს". დასასრულ ორატორი კრიტიკას უკეთებს მიწების მომრიგებელ კომისიების მოქმედებას.

**მიაკაი** ამბობს, რომ გლეხების მიწების დაყოფა და სახიზინო მიწების ასე ძვირათ გაყიდვა, მიწების მოწესრიგებათ არ უნდა ჩაითვალოს. ორატორს ეჭვი აქვს, რომ მთავრობა და დუმა იმას კი არ ცდილობს, რომ დააკმაყოფილონ მილიონი უმიწო გლეხები, არამედ—ნიადაგი მოუმზადონ მათ წინააღმდეგ მოძრაობას, მაგრამ,—ხალხი თავისას გაიტანს.

**ბელოუსოვი** ლაპარაკობს მთავრობის პროგრამაზე მიწების შესახებ, მას უპირდაპირებს ს.-დემოკრატიულ პროგრამას და აღნიშნავს, რომ მთავრობის პროგრამა ვერ აქარწყლებს მიწების პრობლემას, ამიტომ ს.-დემოკრატები წინანდებურათ ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ ხმას. კენჭის ყრით დუმა ღებულობს კომისიის ხარჯების შემცირებას. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა—15 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14—15 მარტი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** ჯულფიდან იტყობინებიან, რომ ყარაჯალის ცხენოსნები თავრიზის გზის ახლო მდებარე სოფლებისაკენ დაიძრენ. სოფლელები ჯულფისკენ გარბიან.

რადგან შინაურ სესხზე ნაკლებათ აწერენ ხელს, გადასწყვიტეს ძალათ აიღონ ადერბეიჯანიდან მილიონი მანეთი. ამის გამო ვაჭრები და შეძლებული მცხოვრებნი ქალაქიდან გაიქცენ.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მალინოვმა და პაპრიკოვმა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ოსმალეთის მინისტრებთან მოლაპარაკება გრძელდება; იმედი აქვთ მოლაპარაკებას დღეს ან ხვალ გაათავებენ. ბულგარეთის მინისტრები კმაყოფილნი არიან ამ მოლაპარაკებით და აგრეთვე ბულგარეთის მეფის მიღებით. მდივანმა დობროვიჩმა კორესპონდენტს განუცხადა, რომ თვით მეფე ფერდინანდი ძლიერ კმაყოფილია სულთანის და საზოგადოთ ოსმალეთის იმ პატივისცემისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს მისი მისვლის დროს.

**სალონიკი.** 9 მარტს დილის 4 საათზე მაკედონიის მიდამოებში მოხდა მიწის ძვრა. კონოპეშტში დაინგრა 770 სახლი. ქალაქ ვოდენში და სხვაგან მცხოვრებნი შიშით სახლებიდან გამორბოდენ.

### საზღვარ-გარეთ

**სოფია.** ბოლგარეთის სააგენტო კატეგორიულათ უარ-ყოფს, თითქოს მაკედონიაში აჯანყება მზადდებოდეს და

ბოლგაროთა „ჩეტნიკები“ საზღვარზე გადასულიყვნენ.

**პარიჟი.** სინდიკატების მიტინგმა, რომელსაც სამი ათასი მუშა დაესწრო, გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც პროტესტს აცხადებენ მუშათა პენსიის კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც სენატმა მიიღო.

**ათინა.** დეპუტატთა პალატის სხდომაზე რომელიც დილის ხუთ საათამდე გაგრძელდა, მიიღეს ბიუჯეტი და კანონ-პროექტი უნივერსიტეტის რეფორმის შესახებ.

დრაგუმისმა განაცხადა, რომ მეფის წერილი ნაციონალურ კრების მოწვევის შესახებ წაკითხულ იქნება ოთხშაბათს.

## რუსეთი

**დონის როსტოვი.** სადგურ ვერგულევკას ახლოს რვა საჟენის სიმაღლიდან გადმოვარდა დატვირთული საქონლის მატარებელი. დაიმტვრა ორთქლმავალი და ცხრამეტი ვაგონი. მოკლულია მემანქანე, მისი თანაშემწე და კონდუქტორი მძიმეთ დაჭრილი. გზა გაფუჭებულია.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტრომ ნება დართო მოიწვიონ ქ. ქუთაისში 26 აპრილს შორაპნის შავი ქვის მრეწველთა მეცამეტე სიეზდი.

**პეტერბურგი.** სენატმა დაადგინა სასამართალში მისცეს ვეტლუკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ვერხოვსკი, ვეტლუკის „უპრავის“ წევრები შირიაევი, გადასახადების ინსპექტორი გავრილოვი და ისპრავნიკი ანდრონიკოვი, სამაზრო სიეზდზე უკანონო დადგენილებისათვის, რომლითაც ხელშეკრულება დასდეს ოცი ათას ფუთი სასურსათო პურის შესაკვეთათ.

**პეტერბურგი.** გრაფ ბობრინსკის თავმჯდომარეობით მოხდა 33 შეერთებულ თავად-აზნაურთა საზოგადოების რწმუნებულთა სიეზდი.

სიეზდის გახსნისას თავმჯდომარემ წაიკითხა ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტი. სიეზდი ურას ძახილით შეხვდა. სიეზდმა დაადგინა გაეგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი დეპეშა. შემდეგ შეჩკოვის მოხსენების თანახმათ მიიღეს რეზოლიუცია თავად-აზნაურთა ქონებრივ ცენზის შემცირების შესახებ.

**უფა.** სამხედრო საოლქო სასამართლომ პოკროვსკის კანტორაზე თავდასხმისთვის სამს გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა, ექვსს კატორღა, ერთი გაამართლა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის თათბირმა, განიხილა რა დეპუტატ პურიშკევიჩის თხოვნა მიეცეს მას დასვენების ვადა „შინაურ დატუსაღების“ დროს, სცნო რომ ეს თათბირის კომპეტენციაში არ შედის; გადაწყვეტა დუმის საზოგადო კრებას შეუძლიაო.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი საერთო საიმპერიო და ფინლიანდიისათვის კანონ პროექტების განხილვის შესახებ: 1906 წლის 20 თებერვლის მანიფესტით დავამტკიცეთ რა საკანონმდებლო უფლების უმთავრესი დებულება, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს საერთო მოქმედებაში ჩვენ მასთან ერთათ გამოვაცხადეთ, რომ საერთო საიმპერიო და ფინლიანდიისთვის კანონ-პროექტების განხილვის შესახებ გამოცემული იქნებოდა განსაკუთრებული ახსნა-განმარტებანი. ამის სისრულეში მოსაყვანათ 1909 წ. 28 მარტს ჩვენ ვბრძანეთ, რომ აღნიშნული საგნის გასარკვევათ შემდგარიყო განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შევიდოდენ იმპერიისა და ფინლიანდიის წარმომადგენლები თანასწორი რიცხვით. კომისიის მიერ შემუშავებული წესდების მინისტრთა საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, რომ ის უკანასკნელათ იქნას განხილული საერთო კანონმდებლობითი წესით, ვტოვებთ რა ამასთან ძალაში არსებულ წესებს ადგილობრივ დაკანონებათა შესახებ, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც ეხება ფინლიანდიის საჭიროებათ, ჩვენ სასარგებლოთ ვსცანით, მივანიჭოთ ფინლიანდიის სეიმს უფლება, რომ გამოიტანოს თავისი დასკვნა აღნიშნული კანონ-პროექტის შესახებ იმ პირობით, რომ სეიმის დასკვნა შემდეგ განხილულ იქნას სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოში. ჩვენი სახელმწიფოს საქმეთა მოწესრიგების საქმეში ვაძლევთ რა აღნიშნულ საგანს არსებით მნიშვნელობას, ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ სახ. სათათბირო ც საბჭო შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც აწევს მათ ამ შემთხვევაში და რომელიც მდგომარეობს რუსეთის სახელმწიფოს ერთობისა და განუყოფელობის გამაგრებაში, ჩვენთა ქვეშევრდომთა საკეთილდღეოთ. ამიტომ ვბრძანებთ: 1) მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი, რომელიც ეხება ფინლიანდიისა და საერთო სახელმწიფოებრივ კანონების... (გამოტოვებულია); 2 მიენიჭოს ფინლიანდიის სეიმს, უფლება, რათა მან წარმოადგინოს თავისი დასკვნა აღნიშნული კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც შემდეგ გადაეცემა განსახილველათ სახ. საბჭოს 3) დაენიშნოს სეიმს თავის დასკვნის საცნობებლათ დღიდან ამის გამოცხადებისა ერთი თვის ვადა. ბოძებულია ცარსკოე სელოში 14 მარტს 1910 წ.

**ნიკოლოზი.**

## საგულისხმო ცირკულიარი.

სატახტო გაზეთებში მხოლოდ ახლა გამოქვეყნდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციის მიმართ შესახებ განსაკუთრებული წესებით სარგებლობისა. ცირკულიარს გასული წლის 4 დეკემბრის თარიღი აზის. მიუხედავათ იმისა, რომ ეს „წესები“ მეტად მკაცრი და ფართო ხასიათისაა, **თურმე**, როგორც ამას ცირკულიარი გადმოგვცემს, ადმინისტრაციას არც ეს მეტად გაფართოებული საზღვრები ჰყოფნიდა და ხშირად თავის უფლებებით უკანონოდ უსარგებლებია მას, განსაკუთრებული წესების გამოყენების დროს, ამ „წესების“ **მიზანი** შეუცვლია და „წესებით“ მინიჭებული **უფლებები** გაუფართოებია.

„წესების“ მიზანია „კრამოლასთან“ ბრძოლა, ე. ი. პოლიტიკური ხასიათის დანაშაულობის წინდაწინვე არ დაშვება და ჩადენილ დანაშაულობისათვის დასჯა.

რაც შეეხება უფლებებს, ადმინისტრაციას შეუძლია დააჯარიმოს იმ დანაშაულობისათვის, რომელიც საზოგადო კანონში არ არის აღნიშნული და კანონში აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის მიუსაჯოს სასჯელი არა უმეტესი იმის, რაც კანონით არის განსაზღვრული.

რომ უფრო ცხად ვჰყოთ ეს ორი იურიდიული დებულება, მოვიყვანთ მაგალითებს. ვთქვათ, ქუჩაზე მიდის ღვინით გაბრუებული „მოქალაქე“ (მოქალაქე ცხრაას ხუთის იქით—აქეთ უთუოდ ფრჩხილებში უნდა ჩაისვას) და უცბათ მან სილა შესთავაზა მეორე „მოქალაქეს“. რასაკვირველია, იმ სილას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს „კრამოლასთან“. და განსაკუთრებული წესის ძალით ის ვერ დაისჯება.

ვთქვათ, რომელიმე დანაშაულობას «კრამოლასთან» აქვს დამოკიდებულობა, და ამ დანაშაულობას კანონის ძალით დანიშნული აქვს განსაზღვრული სასჯელი, მაგალითად, საპატიმრო ერთი თვის ვადით. ადმინისტრაცია, განსაკუთრებული წესის ძალით, მას ერთი თვის მეტს ვერ მიუსჯის.

ზემოხსენებული მიზანი და უფლებები ცხადათ არის ნაჩვენები 14 აგვისტოს 1881 წლის დებულებაში. მიუხედავათ ამისა, ადგილობრივი ადმინისტრაცია სულ ხშირათ არღვევდა მათ, და აი, ამ გარემოებას გამოუწვევია უკანასკნელი საერთო ცირკულიარი.

ადმინისტრაციის მხრით ამ „წესებით“ უკანონო გამოყენების შესახებ აურაცხელი მაგალითები აქვთ მოყვანილი: გრაფ იგნატიევის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას, ხარკოვის პროკურ. ხრულოვს და სენატორ კუზმინსკის ბაქოს გუბერნიის შესახებ მოხსენებას.

ეტყობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უსარგებლებია ამ ცნობებით და თავის ცირკულიარში მოუყვანია; ზედ, რასაკვირველია, ახალი ცნობებიც დაუმატებია.

განსაკუთრებული წესების შესახებ პრინციპიალური და საზოგადო აზრი პირველათ გამოსთქვა მინისტრთა კომიტეტმა 1888 წ. იმ დროს ოდესაში გამოცხადებული იყო გაძლიერებული დაცვა (усиленная охрана). ოდესის გენერ.-გუბერნატორ როოპს არ მოეწონა ოდესის ქალაქის საავათმყოფოს კანონით დამტკიცებული წესდება და თავისი ახალი წესდება შეუტანია. ქალაქმა ეს დადგენილება გაასაჩივრა სამინისტროში. მინისტრთა კომიტეტმა უმაღლესათ დამტკიცებული დადგენილებით 11 მარტს 1889 წ. შემდეგი განმარტება გამოაქვეყნა: გაძლიერებული დაცვის ძალით გამოცხადებულ სავალდებულო დადგენილებას შეუძლია შეეხოს **მხოლოდ** იმ საგნებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ საზოგადოებრივ წეს-რიგთან და სახელმწიფო მშვიდობიანობის დარღვევასთანო, ე. ი. პოლიტიკური ხასიათის დანაშაულობასთან. რასაკვირველია, ადმინისტრაციას ყოველთვის სახეში უნდა ჰქონებოდა ეს უმაღლესი დამტკიცებულების განმარტება, მაგრამ როოპისებური დადგენილებები უკანასკნელ დრომდის დიდ-ძალი გამოიცა.

ჩვენ არ შევეხებით იმ სასანიტრო-სატირალ დადგენილებებს, რომელიც მოყვანილია ცირკულიარში. ჩვენ ავიღებთ მხოლოდ სატირალ დადგენილებებს.

ცირკულიარი ამბობს, რომ ადმინისტრაციას არა აქვს უფლება ერთი დამნაშავის გულისთვის მთელი რომელიმე ჯგუფი დასაჯოს-ო. შევჩერდეთ ამაზე.

ყოველი იურისტი იტყვის, რომ განსაკუთრებული წესის ძალით გამოცხადებული დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადო კანონებს.

სისხლის სამართლის წესდებს მე-15-ტე მუხლი ამბობს: „სისხლის სამართლის საქმეში თვითეული პასუხს აგებს მხოლოდ მისგან ჩადენილ დანაშაულობისათვისო“. მაშასადამე, საზოგადო კანონის ძალით ჯგუფი არასოდეს არ აგებს პასუხს მისი წევრის დანაშაულობისათვის. აქედან ცხადია, რომ თუ სოფელში ვინმემ რაიმე დანაშაულობა ჩაიდინა, პასუხისმგებელია ეს **ვინმე** და არა მთელი სოფელი. ამას ამბობს კანონი ამას იმეორებს ცირკულიარი, მაგრამ ასე არ იქცევა ადმინისტრაცია. გავიხსენოთ „ეგზეკუციები“ და ჩვენთვის ყოველივე ცხადი იქნება.

გადავიდეთ მუშებზე. ხშირათ, განსაკუთრებული წესის ძალით, ადმინისტრაცია ეუბნება ვაჭარ-მრეწველებს არ მიიღონ სამუშაოზე შემჩნეული მუშა. ჩვენ კარგათ ვიცით რაგვარ ცნობებზეა დამყარებული ეს **შემჩნევა**. და აი, სამუშაოს მაძებარი მუშა ვერ შოულობს ადგილს და ულუკმა პუროთ რჩება და ემატება უმუშევართა დიდ არმიას. გავიხსენოთ ცხრაას ხუთის გაფიცვები და მათი „ლიკვიდაცია“. რკინის გზის მუშათა აურაცხელი რიცხვი იყო მიცემული სამართალში; ზოგიერთები სავსებით გამართლდენ, ზოგიერთებმა სასჯელი მოიხადეს. ეს მუშები სამსახურიდან იქნენ დათხოვნილი და შემდეგ ისევ მოინდომეს მუშაობა, მაგრამ, რადგანაც შემჩნეულთა რიცხვში იყვენ, ადმინისტრაციამ არ მისცა უფლება რკინის გზას უკანვე მიეღო ისინი სამუშაოზე. მხოლოდ ზოგიერთებს, სულ მცირე ნაწილს, გაუღიმა ბედმა.

ჩვენ ვიცით, რომ განსაკუთრებული წესები ეხებიან მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს; სამოქალაქო, ნივთიერ დამოკიდებულებას მცხოვრებთა შორის ისინი ვერ შეეხებიან.

ვთქვათ, გლეხმა არ მოისურვა მემამულესთვის ღალის მიცემა. ეს, რასაკვირველია, სამოქალაქო სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს; ეს ორ პირთა შორის სამოქალაქო დავაა. საგანი არ იცვლება იმის და მიხედვით, ერთი პირი არ იძლევა ღალას თუ მთელი **ჯგუფი**, მთელი სოფელი. მიუხედავათ ამ ნათელი და მარტივი იურიდიული მცნების, მემამულე გარბის ადმინისტრაციასთან და **დახმარებას** სთხოვს მას. ადმინისტრაცია, იმის მაგიერ, რომ მემამულეს საზოგადო კანონი მოაგონოს და სასამართლოს კარები აჩვენოს, განსაკუთრებული წესებით **ეხმარება** მემამულეს. ამის მაგალითები ბევრია. გავიხსენოთ, თუ გინდ, თავადი ამილახვარის გლეხებთან **ადმინისტრატიული** დავა, რომლშიაც დეპუტატი გეგეჭკორი ჩაერია.

განსაკუთრებული წესების უკანონო გამოყენებას რომ გამოუდგეთ, დროც და ადგილიც ძლიერ ბევრი მოგვინდება, ამისათვის ზემოთ-მოყვანილი მოსაზრებებით და ფაქტებით დავკმაყოფილდეთ. დავუბრუნდებით ისევ 4 დეკემ. ცირკულიარს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენი იმის შესახებ უიმედობა გამოვსთქვათ.

ჩვენ გვგონია, რომ ეს ცირკულიარი სასურველ შედეგს ვერ მოიტანს და აი რისთვის:

ადმინისტრაციამ კიდეც რომ მოინდომოს თავისი მოქმედების შეზღუდვა კანონიერი ფარგლებით, სისრულეში ამას არ მოიყვანს, სხვათა შორის, იმიტომ,

---

# სიმონა*)

## IV

კაშკაშ დილას სახალისოდ
ყვავილები გადეშალა,
ცვარს მდელოზე დაეფრქვია
სილამაზის მთელი ძალა
იქ ტყე სჩანდა დაბურული
და აქ კიდევ ტურფა ჰალა,
ღამის ჩადრი დღის სინათლეს
დაეხია, დაემალა.
ბაღში ბულბულს მოენახა
საყვარელი თავის ვარდი,
მომხიბლავად გაჰკიოდა
გადაჰყროდა გულზე დარდი,
ამოცურდა დიდებულად,
გადაჰკოცნა მზემ ლაჟვარდი
და ჩიტუნაც ახმატკბილდა
იმის სხივებს შენაზარდი.
საყვირის ხმა გლოვის ზარად
შეერია ფრინველთ სტვენას,
ქარხნის სახე მოპირქუშდა
სწვდა მუშების წარმოდგენას,
ღია კარით ჯერაც ბოლო
არ უჩანდა იმათ დენას,
შედიოდენ, მდუმარება
მეუფობდა ყველას ენას!..
ხმაურობას ხელი ჰქმნიდა
აერთებდა რაღაც ძალად
და გუგუნად შემდეგ იგი
იჭრებოდა მინდორ ჭალად.
ერთ კუთხეში სიმონასაც
მოენახა საქმე ძველი,
მის ძალ-ღონეს კვლავ ილევდა
სამუშაო ისევ ძნელი,
სხვის საწილო შვებას ჰქმნიდა
მადლიანი მისი ხელი;
ამ დროს კარით ვიღაც მოდგა
დაუძახა მას სახელი,
რა მივიდა წიგნი მისცა
და გაბრუნდა ისევ ჩქარა,
სიმონას კი მთლად სხეულში
რაღაც ჟრჟოლამ დაუარა,
არ იცოდა რა ელოდა
აამებდა ის თუ არა,
უფროსის ხმაც შემოესმა:
„იმუშავე აწი კმარა“.
— საღამომდე ეს წერილი
შევინახო ეხლა უნდა,
მანამდე რომ წავაკითხო
ვერვის ვპოვებ რა თქმა უნდა,
მაგრამ გული როგორ გასძლებს
ამბავია მასში ცოლის,
ჩემსებრ ნაწვავ ნადაგვი—
ვაებაში ჩემი ტოლის—
გაიფიქრა და სიმონამ
იგრძნო მწვავე გულის ტკენა,
ძნელი იყო, მეტად ძნელი,
ყველა ამის წარმოდგენა!...

## V.

ნეტავ არ ვიყო ცოცხალი
სიმონა შენი ჭირიმე,
რას გატყობინებ საწყალი
და უბედურის შვილი მე,
ერთი კვირაა გოგილო
მომიკვდა, სული დალია
და შავს მიწაში ჩამიგდეს
ვაჰ, დედი მისის ბრალია!
ბატონის ურემს მისდევდა
იმის ქვეშ მოჰყვა გზაშია,
სულს ვაჯახირებ, ისე კი
დავსცურავ ცრემლის ზღვაშია,
საფლავი მისი შორსა მაქვს,
იქ დავწანწალებ და ვსტირი,
უგულო ქვებზე ნარტყამი
დამტვრეული მაქვს თავ-პირი.
ბატონის კართან მარხია
ის ეკლესიის უკანა,
მის დამკარგავი, ცოცხალი
უნდა ვიდოდე მე განა?!!
მომეშველევი, მომხედე,
ნუ დამივიწყებ ეულსა
თორემ მე ველარ გადვიტან
სევდას გულს შემოხვეულსა!“
ეს წაუკითხა საღამოს
ვიღაც შემხვედრმა ხელადა,
ცოლის სიტყვები სიმონას
მოედვენ დასაწველადა.
— შვილი მომიკვდა—სად ვიყავ?!
ცოლი მიკვდება ვარ სადა,?!
ეს შავი ბედი იმ თავით
ამკიდებია მე რადა?!
უნდა წავიდე აწ გული
აქ ყოფნას ველარ აიტანს,
თუ არ მივხედე სიკვდილი—
ცოლსაც წამართმევს, წაიტანს;
რაც ორი გროში ვიშოვე
დაიტაცებენ ყველასა,
ხუცესი ფულით აღმითქვამს
შვილის ცხონება-შველასა!..
მაგრამ რა უყო ჩემს გზაზე
თუ ეკალია მარადა,
ვის მოეხმარა ჭირნახულს
დადნობა ცრემლის ღვარადა?!..

## VI.

ცას ღრუბლები გადაეკრა
მათ წყვდიადმა მისცა ხელი,
შავ კალთის ქვეშ დაიფარა
მშვენიერი დღის ნათელი!
ხმაურობა ცივს საფლავში
ჩაესვენა, თითქოს მოჰკვდა,
ნიავიც კი მსუბუქი ფრთით
ფოთოლთ გროვას ველარ მოხვდა!
მთვარის სხივთა მდინარეზე
ალერსი და ნაზი ფრქვევა,
ვარსკვლავთ კრების სილამზე
და ხის წვერის მიმორხევა,
ფოთოლთ ტკბილი საუბარი,
ტურფა სახე მინდორ ველის,
სათარეშოდ გარდაიქცენ
ბნელის შვილთა ბინძურ ხელის!
მიმოიბნა, კაეშანმა
დაიმკვიდრა ირგვლივ ბინა!
და სიმონაც მით მოცული
ესწრაფოდა ეხლა წინა!
ჰა სოფელიც, ეს სავანე
ყმაწვილური მისი წლების,
დღეს კი შვილის სასაფლაო
მოწმე გულის ტკივილების,
ჰა, კარები მისი ქოხის
სად ცქრიალა დარჩა შვილი,
და სად ცოლი დაუხვდება
ცრემლების ზღვად გარდაქმნილი,
ჰა, იმისკენ ცხარე ყეფით
გამოქანდა მისი მურა,
მაგრამ უთხრა რა სახელი—
საალერსოდ მიაშურა,
ჰა, ცოლის ხმაც ძაღლის შვებამ
ქმარის მოსვლა ამცნო იმას,
დაიკივლა დამწველი ხმით,
მოუმატა ცრემლის წვიმას:
„შვილთან დამრჩი მე საბრალო,
დღეს მარტო ვარ მისგან შორეს,
რად არ მოვკვდი, რაღად მინდა
თავს ვახეთქებ ლოდზე ყორეს,
ის კვდებოდა, სულსა ლევდა
არა ვყავდი ახლოს დედა,
გვედრები მიმათრიე
დამაკალი იმას ზედა“.
ამ სიტყვებით შეეგება
გულის სატრფოს ეხლა ცოლი,
თმა გაშლილი, სევდათ ქმნილი
ბედისაგან ჩანაქოლი!..
მგლუტავ ცეცხლთან მიიწია
და სიმონამ სკამი ნახა,
მიმოხედა, რაც დაუხვდა
სურდა თვალით დაენახა,
სჩანდა ქოხი ფარღალალა
ეხლაც ისე, როგორც წინაო,
არასფერი არ უშლიდა
დაესახა ქარს ის ბინათ;
სჩანდა სხვენი მიმქვარტლული
დაკლაკნილი ბოლის დენა,
ამ სურათებს თან დაერთო
შვილის სახის წარმოდგენა!
ჰა, ის ტახტი, სადაც იგი
ეხვეოდა მამას ხშირად,
და კალთაში მოხიბლული
დაუხტოდა ცეცხლის პირად;
ჰა თვით მისი მშობლიური
სიყვარულით სავსე გულიც
სხვა ტანჯვასთან მკვდარი შვილის
მოგონებით წამებულიც;
და ჰა აწმყოც მოორგულე
საშინელი ბასრი ბრჭყალით
უნდობარი მოსამართლე
გასაკიცხი სამართალით;
ჰა თვით ცოლი სიტყვა მოკლე,
ფერ-მიხდილი სახე მჭკნარი,
კაეშნიან თვალთა ხედვით
ბევრი რამის მოუბარი!..

## VII

ლაჟვარდს მკერდი სანავარდოთ
მზისთვის ეძლვნა გადეშალა,
მის სივრცეში მეუფობდა,
სიამაყის მთელი ძალა!
მზეს მისდევდა, არწივს ფრთები
აემართა, მაღლა ჰფრენდა
მოხდენილი სილამაზეს
არე მარეს ისიც ჰფენდა!
მდინარე კი ზიგზაგ დენით
ესწრაფოდა ისევ გზასა,

*) დასასრული, იხ. «ახალი სხივი» № 33.

რომ მას ყოველ წამს თვალ წინ უდგას 14 აგვისტოს დებულების მე-22-ტე მუხლი. ეს მუხლი მას გაძლიერებული სასჯელით ემუქრება „უმოქმედობისათვის“; უკანონო მოქმედებისათვის კი დებულებაში არაფერი არ არის ნათქვამი. რასაკვირველია, ადმინისტრაცია ყოველთვის გადამლაშებას ამჯობინებს. გარდა ამისა, ადმინისტრაცია 29 წლის პრაქტიკითაც იხელმძღვანელებს; ეს პრაქტიკა კი, როგორც ამას ცირკულიარი ამოწმებს, სავსეა კანონის დარღვევით. დასჯილ ადმინისტრატორებს კი ვერ ვხედავთ.

იკა.

# ახალი ამბები

✦ **კავკ. მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი** საზოგადოების წევრთა კრება შესდგა 15 მარტს. თავმჯდომარეობდა პ. მ. დოლუხანოვი. კრება შესდგა სამოსამართლო პალატის შენობაში. განიხილეს გასულ 1909 წ. ანგარიში. განიხილეს და დაამტკიცეს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაც, რომელიც უდრის 5,500 მ., კრებამ დაადგინა 1 ივლისიდან განაახლოს მცირე-წლოვან დამნაშავეთა მიღება ავჭალის თავ-შესაფარში. აირჩიეს გამგეობის ახალი წევრები: კ. ვ. კოჩუბეი, პ. ი. თუმანოვი, პ. მ. დოლუხანოვი, ა. ს. პუშკარევი, კოვოლენკო და იუზვინსკი.

✦ **საზოგადო საქმეში დაზარალებულთა** დამხმარე საზოგადოების წევრთა პირველი სხდომა მოხდა შაბათს, 13 მარტს. კრებას დაესწრო თფ. გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი, რომელიც არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეთ.

✦ **ქუთაისის თეატრი.** როგორც დეპეშით გვატყობინებენ დღეს ვლ. ალექსი მესხიშვილის საბენეფისოთ წარმოდგენილი იქნება პიესა—„შავი ბერი“. საზოგადოების დაბალი წრეები მობენეფისეს მიართმევენ ულდის თხზ. სრულ გამოცემას.

✦ **ელექტრონის ტრამვაი კოჯორის გზაზე.** ფუნიკულერის გამგეობამ თხოვნით მიმართა ქალაქის გამგეობას, რათა ხსენებულ გზაზე გამგეობამ ერთი წლის ვადა მისცეს ფუნიკულერს ხსენებულ გზაზე ელექტრონის ტრამვაის ნებართვის ასაღებათ. ნებართვის წარმოდგენის ვადა კი, როგორც ვიცით, ხელშეკრულობის ძალით ამ წლის 24 მარტამდე გრძელდება. თუ ამ დრომდე ეს ნებართვა წარმოდგენილი არ იქნა, იმ შემთხვევაში ფუნიკულერი გირაო ფულს —10,000 მ. ქალაქი თავის სასარგებლოთ მოიხმარს.

✦ **წლის საყვანი.** ქალაქის საფინანსო და ტეხნიკურ კომისიებმა გადაწყვიტეს, რათა ნათვლულ-ავლაბარში მეორე წყლის-საყვანი გაიყვანონ.

✦ **მატარებელზე თავდასხმის გამო** შეიპყრეს და ბათუმის ციხეში გაგზავნეს რკინის გზის დარაჯის ლ. მანგელაძის ცოლი, რომელიც სამტრედიასა და ნიგოითს შუა ცხოვრობდა ქმართან. მას აბრალებენ მატარებელზე თავდამსხმელთა დამალვას. („კ.“).

✦ **ბუნების მოყვარულთა საზოგადოება.** 12 მარტს მოხდა „ბუნების მოყვარულთა საზოგადოების“ წევრთა კრება, რომელმაც მსჯელობა იქონია ბუნების მეტყველების სწავლების შესახებ საშუალო სასწავლებლებში, და დაადგინა: აირჩეს კომისია, რომელიც შეიმუშავებს ხსენებული საგნის სწავლების პროგრამას, რომელსაც ბუნების მეტყველთა სიეზდს წარუდგენენ განსახილველათ.

✦ **„კავკასიის ესპერანტო“.** გამოვიდა 1 ნომერი ჟურ. „კავკასიის ესპერანტო“ ჟურნალში მოთავსებულია „ესპერანტოს« დამაარსებელის სურათი, დასტამბულია წერილები ქართულ-რუსულ, სომხურ და ესპერანტოს ენებზე.

✦ **სანიტარულ-კომერციული სასწავლებელი სოჩაში.** ჩერნომორის გუბერნიაში, ქალაქ სოჩაში, ახლო მომავალში გაიხსნება სანიტარულ-კომერციული სასწავლებელი.

✦ **მუშის გადმოვარდნა შენობიდან.** 13 მარტს, სალამოს 5 საათზე, ველიამინოვის ქუჩაზე, სეინალოვის სახლიდან მუშაობის დროს ორი საჟენის სიმაღლიდან გადმოვარდა მუშა გრ. აბრამოვი და ძლიერ დაზიანდა ზურგში და გვერდებში, ავათმყოფი მიხაილოვის საავათმყოფოში წაიყვანეს. მუშის მდგომარეობა საშიშოა.

✦ **მოწაფემ თავი მოიკლა.** თფილისში თავი მოიკლა რეალურ სასწავლებლის მოწაფემ ი. ჟღენტმა. თავის მოკვლის მიზეზი არ იციან.

✦ **მილოვის მაღაზიაში** აფეთქებული ყუმბარა, როგორც გამოირკვა, იორდანოვის ტიპის ყუმბარა გამომდგარა.

✦ **სანიტარული კომისია.** ქალაქის სანიტარულმა კომისიამ გუშინ დაათვალიერა ქალაქის რამდენიმე უბანი. სავაჭროებში ბევრგან ანტი-სანიტარული მდგომარეობა აღმოაჩინეს. შეადგინეს ოქმები, მეპატრონეებს პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **თფილისის პოლიცმეისტერი** თავის თანაშემწეს, კაპიტან სტროევს წინადადებას აძლევს, რათა მან სახაზინო თეატრში ცეცხლის ჩამქრობი მანქანები მოაწესრიგოს, რათა უბედურ შემთხვევის დროს ყოველივე მზათ იყოს ცეცხლის ჩასაქრობათ.

✦ **კავკავი.** ადგილობრივი 3 კლასიანი სასწავლებელი 6 კლასიანათ გადააკეთეს.

✦ **რედაქციამ მიიღო** ლანგეს ახალი რუსული წიგნი „ქალის უფლება“ დრამა 5 მოქმედებათ. წიგნი შეიცავს 160 გვ. და ღირს 40 კ.

✦ **ჩხრეკა-დაპატიმრება.** 14 მარტს პოლიციამ დაპატიმრა ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებულის. შაშიანის მცხოვრები ი. ლ. ბექენაშვილი. ამავე დღეს ჩხრეკის დროს პოლიციამ შეიპყრო 25 უპასპორტო, მათი ვინაობა ირკვევა.

✦ **გამოვიდა** მე-11-ე ნომერი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, რომელშიაც სხვათა შორის დასტამბულია ივ. გომართელის პიესა «დრამატიულ გამგეობის წევრი» და 1909—1910 წლის თეატრის სეზონი.

—

**გურია.** 8 მარტს ღამის 1 საათიდან სოფელ ლიხაურში გაძლიერებული ჩხრეკა იყო გათენებამდი. მიზეზი არ იციან. არაფერი არ აღმოუჩენიათ.

— ამას წინეთ განთავისუფლებული-გ. არობელიძე ქუთაისის გუბერნიიდან გადაუსახლებიათ.

— გამოუცხადეს ლიხაურს, შემოქმედს, დვაბზუს და სხვებს ჯარიმა 500 მანეთი თითოს, ეს ჯარიმა გამოწვეულია იმით, ვითომც საზოგადოება ყაჩაღებს ინახავდეს.

# არტელი „ვარიაგი“.

## IV.

ჯერ კიდევ არ დაგვითავებია არტელი „ვარიაგის“ წესდების საერთო გარჩევა, რომ ჩვენი გაზეთის მე 31 №-ში ბ. ეგ. ხრამელაშვილი აცხადებს: ის „ვარიაგი“, რომლის წესდება მე შევიმუშავე, სხვაა, და არაფერი საერთო არა აქვს იმ „ვარიაგის“ ძირითად მუხლებთან, რომლის გარჩევასაც ბ. გალიიარკა შესდგომია.

გამოდის, რომ თფილისში არსდება ორი არტელი. მათ შორის საერთო არაფერია, გარდა სახელისა, —ორივეს „ვარიაგი“ ეწოდება.

მართალია ეს? ვნახოთ!

ჯერ ერთი, თუნდაც რომ ის „ვარიაგი“, რომლის წესდება ბ. ხრამელაშვილს შეუდგენია სხვა იყოს,—საერთო მასა და მეორე ვარიაგს შორის ის არის, რომ ორივე „ვარიაგი“ არტელია, და ეს საკმარისია, რომ ჩვენ მისი წინაალმდეგი ვიყოთ. არც ერთ მუშას, რომელსაც ცოტათი მაინც შეგნებული აქვს თავისი ინტერესები, და რომელსაც სურს მუშათა გათვითცნობიერებას, შეგნებას და წინმსვლელობას ხელი შეუწყოს, არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს არტელში და მის დაარსებაში. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ყველა ისინი, ვინც ურჩევს მუშებს არტელების დაარსებას, მოქმედობს მუშების ინტერესების წინაალმდეგ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ—ეს სულ ერთია, არსებითათ ეს კითხვას არ ცვლის. რაც უნდა იდეალური წესდება ქონდეს არტელს, ის მაინც უარყოფილი უნდა იქნეს. მეორე მხრით, ვინც წაიკითხავს იმ წესდებას, რომლის ავტორათ ბ. ხრამელაშვილი აცხადებს თავს, დარწმუნდება, რომ წესდების სამი მეოთხედი მაინც, პირდაპირ გადმოწერილია იმ „ვარიაგის“ წესდებიდან, რომელსაც ჩვენ ვარჩევთ. გადმოწერილია თითქმის ყველა ის მუხლები, რომლის მიზანი და სარჩული ჩვენ გავარკვიეთ დავინახეთ, რომ ის მიმართულია მუშათა ინტერესების წინაალმდეგ. და თუ ბ. ხრამელაშვილი მაინც დაიწყებს მტკიცებას,—არ გამოგვიწერია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბ. ხრამელაშვილი და მერე „ვარიაგის“ ავტორი ერთ და იმავე თვალსაზრისზე დგანან ერთ და იმავე სათავიდან და მიზნიდან გამოდიან. მართალია, აქა-იქ არის განსხვავებაც, მარა, ეს განსხვავება არც თუ ისე საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

ავიღოთ თუ გინდ ის ძირითადი მუხლი, რომლიდანაც ასე იჯმნის ბ. ხრამელაშვილი. პირველი „ვარიაგის“ გარჩევიდან ჩვენ დავინახეთ, რომ არტელის დამაარსებელი და ინიციატორი არის მთავრობა. მეორე «ვარიაგის» წესდებაში კი ამის შესახებ ისე პირდაპირ არაფერი სწერია, მარა, სამაგიეროთ, შეტანილია შემდეგი საყურადღებო და მრავალმნიშვნელოვანი მუხლი.

ეს არის მესამოცე მუხლი, სადაც ნათქვამია: „არტელი სპობს თავის არსებობას აგრეთვე გუბერნატორის მოთხოვნილებისამებრ, თუ მისი (არტელის) მოქმედება არ ეთანხმება მის წესდებას, ან **და წინააღმდეგია კანონების“.** (ხაზი ჩვენია).

აქედან ცხადია, რომ არტელი მანამდის არსებობს, სანამ მისი მოქმედება ეთანხმება არსებულ კანონებს. არსებული კანონები კი სრულიად უარყოფს მუშათა ინტერესების ყოველგვარ დაცვას. ის ერთავათ მუშების ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. ის იცავს მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასების ინტერესებს. ეს ინტერესები კი ძირიანათ ეწინააღმდეგება მუშათა ინტერესებს. ცხადია, არტელი უნდა იქნას გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი. ამგვარი დაცვა კი იმავე დროს ნიშნავს მთავრობის დაცვასაც. და აი, სანამ არტელი იცავს მთავრობას და გაბატონებულ კლასის ინტერესებს, მანამ მისი არსებობა უზრუნველყოფილია. ხოლო რა წამს ის ამას წინაალმდეგ წავა, მისი არსებობა ისპობა.

არტელი წინდაწინ თანხმდება, იმოქმედოს არსებული კანონების ფარგლებში, არ დაარღვიოს და არ წავიდეს მის წინაალმდეგ. და რომ დაარწმუნოს ამაში მთავრობა, განსაკუთრებული მუხლი შეაქვს თავის წესდებაში, რომლითაც პირობას სდებს, რომ არტელი კანონის წინაალმდეგ კრინტსაც არ დაძრავს, ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამო. და თუ გადადგა—მიბრძანე და მაშინვე დავიშლებიო. და რადგანაც მთავრობაც სწორეთ იმაშია დაინტერესებული, რომ არსებულ კანონი არ დაირღვეს, მის წინაალმდეგ არავინ წავიდეს, ცხადია ასეთი არტელების დაარსებას მისი პირდაპირი ინტერესები მოითხოვს. რამდენათ მეტი იქნება ასეთი არტელები, იმდენათ ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება იმისთვის. ასეთი არტელების და ორგანიზაციების დაარსებას დიდი ხანია ცდილობს მთავრობა მუშათა შორის. ამას ქადაგებდა ცნობილი ზუბატოვიც. ოღონდ არსებულ კანონებს ნუ დაარღვევთ და მის წინაალმდეგ ნუ წახვალთ, როგორიც გინდათ ისეთი ორგანიზაციები მოაწყვეთო, არწმუნებდა ის მოსკოვის მუშებს და როგორც ვიცით ხაზინის დიდძალ ფულსაც ხარჯავდა ასეთი ორგანიზაციების მოწყობა დაარსებაზე. ამ რიგათ ჩვენ ვხედავთ, რომ ორივე „ვარიაგს“ ერთი და იგივე იდეა უდევს საფუძვლათ და ამ იდეას მთავრობა გაახორციელებს, თუ კერძო ინიციატივა, ეს არსებითათ სულ ერთია რასაკვირველია.

დანარჩენი მუხლების სამი მეოთხედი როგორც ვსთქვით პირდაპირ გადმოწერილია პირველი ვარიაგის წესდებიდან, აქ-იქ ცოტა ცვლილებით და დამატებით. მაგ. წევრობისათვის საჭიროა იგივე საწევრო 150 მანეთი, იმ განსხვავებით, რომ პირველი ვარიაგის წევრობა მოითხოვს, სამ-სამი თუმნის გადახდას, აქ კი პირველათ უნდა შეიტანონ 30 მანეთი ხოლო შემდეგ თვიურათ 2 მ. 50 კ., აქაც არტელის შევსების დროს უპირველესობა ეძლევა ჯარის კაცებს, აქაც საჭიროა კეთილ საიმედობის მოწმობა, მიღების დროს ისეთი ხელწერილი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ მეორე „ვარიაგის“ წესდებიდან, ე. ი. არტელის ინტერესების დაცვა ისე, რომ ის არ ეწინაალმდეგებოდეს სამუშაო მიმცემთა ინტერესებს, ხაზეინების ინტერესების კეთილ სინდისიერათ დაცვა და სხვა. წინაალმდეგ შემთხვევაში არტელიდან გამორიცხვა და საწევრო ფულის დაკარგვა...

არის დამატებული რამდენიმე მუხლიც

---

მთის მწვერვალი იტაცებდა,
გულს იკრავდა იმის ხმასა!
მინდორ-ველი მომხიბვლელი
ყურს უგდებდა წყაროს ჩურჩულს,
და მერცხალი მოჭიკჭიკე
ხელს აძლევდა თვის გაზაფხულს...
იქ კი, სოფლის ერთ კუთხეში
მოწყენილი სევდის ბუდე,
სჩანდა უნდო სასაფლაო
და საზარი მისი ზღუდე!
გოგილოსაც ეხლა მამა
იქ ეწვია გულ დამწვარი,
დედაც მიჰყვა, მოეფინა
ირგვლივ მათი გლოვის ზარი!
სწუხდა მამა, კვნესდა დედა,
არსით იყო მათვის შველა,
სიბრალულის წმინდა გრძნობას
გასთიშოდა თითქოს ყველა!
ბატონის სახლს სიტკბოება
გარს ეხვია ისევ მთელად,
განსვენებას, შერჩენოდა
იგი დღემდე სამყოფელად!
თუნდაც წუთით დედის ცრემლმა
იქ ვერ ჰპოვა მეგობარი,
და არც მამა შეიცოდა
ვინც შეუქმნა ცრემლის ღვარი!..
კივილს მწარედ ამოძახილს
იტაცებდა კლდე უგულო,
იხუტებდა, თითქოს იმას
ჰქონდა გრძნობა საერთგულო!
ერთის კვნესა, მეორესი
ისევ შვება, ტკბილი ლხენა,
დიხ შვება შვილის მკვლელის
და იმისი წარმოდგენა!..
აწმყოვ კრულო! შეჩვენებას
კვალად გითვლი, გუწევლი ისევ,
სანამ, სანამ უნდა შერჩე
ბატონის სახლს სიხალისევ?!!
შენ მოჰკალი ჩემი შვილი
მოსამარე შენ ხარ მისი,
რად არ ძალმიძს ხელი გტაცო
და მოგიზღო საკიდრისი!
ჩემის ცრემლით ნაზარდი ხარ
ჩემს ბორკილზე გძინავს ტკბილად,
დედი ნაცვლის მკერდზე დამსვი
მისი გესლი მარგე წილად!
თუ სურვილი შემრჩენია
შენთან ბრძოლა მინდა მხოლოდ,
ცავ და მიწავ, ნუ თუ ჩემს გზას
დამარცხება უცდის ბოლოდ?!.
კვლავ სიმონას მოეხვიენ
ეს კითხვა და ზიზღის გრძნობა,
წყვდიადს ისევ ტყვეთა ჰყავდა
„მეგობარი“, „თანაგრძნობა!“

## VIII

— შვილის საფლავს დედა მარად
უყურებდე უნდა ახლოს,
ვინ დაზოგავს შორეს იმას
შემიგინოს, ხელი ახლოს?!
ჩემი ცრემლი რომ დასწვეთავს
მე მგონია თითქოს დგება,
თუ ის აქ არ მოვასვენე
ვკვდები, სული ამომხდება!
ჩემ სოფელში მისი მიწა
დავაყარო უნდა გულზე,
დედას შვილის საფლავიც კი
მეტად უყვარს თავის სულზე.—
მუდარის ხმით ეხლა ამას
საუბრობდა ქმართან ცოლი,
ცხადათ სდევდა ამის ნატვრა
ძილშიც ჰქონდა ჩანაყოლი!..
ის სამარე ახლოს მქონდეს
მენატრება, მინდა მეცა,
თუმცა შვილი დამიბრუნოს
უძლურია აწი ზეცა,
მაგრამ რა ვქნა, რაცა ვსცოცხლობ
ხან იქ, ხან აქ დავყიალებ,
არც იქა ვარ არც აქა ვარ
და დროს ტყულა ვატიალებ!
ქარხანაში აღებული
თუ მომყვება ორი გროში,
რას გავაწყობ აბა მითი
ამ დაწყევლილ მუხთალ დროში?!.
მძარცველთ გროვა იქაც მარად
მახვევიან, სულსა მწვდიან,
და ჩემს წმინდა წმინდათაზე
თავისუფლად მიმოდიან,
მაგრამ მაინც უფსკრულს იგი
ეფარება რაღაც ხიდად,
და იქ მხოლოდ ამ ჩემს ძალას
ბაზარი აქვს გასაყიდად!..
და მეც აწი იქ მივდივარ
წამოხვიდე უნდა შენაც,
ამ სახლ-კარის დატოვების
მეძნელება წარმოდგენაც!
ჩემი ტანჯვის მოწამეა,—
მიყვარს ამის არე-მარე,
ყმაწვილური წმინდა გრძნობით
იმ თავითვე შევიყვარე,
და თუ ვსტოვებ ეს იმიტომ
სხვა გზა რომ არ დამრჩენია,
მოღალატეს კი მეძახის
ვინც ამ წესის გამჩენია!
ჩემს ცხოვრებას თუნდაც წუთი
საოცნებო არ ჰქონია,
მაგრამ ეხლა როცა ვსტოვებ
მთაც კი გულის დამლონია!
მე მივალ და მის მწვერვალში
მეგობარი აქა მრჩება,
ეს კი ტკივილს მაგრძნობინებს
სული შფოთავს გული მწყდება!
მეჩვენება თვით მდინარეც
მიმღეროდა თითქოს ნანას,
ხმაც კი მესმის: „სტოვებ განა
მოხმატკბილე მაგისთანას?!“
სულ, სულ რასაც შევეზარდე
უნდა მოვსწყდე გულის ტკენით,
და მშვიდობით უნდა უთხრა
ათრთოლებულ ჩემი ენით!..
აწ საფლავიც ჩემი შვილის
დეე დარჩეს სადაც არი,
სულ ერთია აქედანაც
უნდა გავცდეთ გულ დამწვარი,—
ეს ტყვები ქმრის ნათქვამი
ცოლს დაეცა ვით ლახვარი,
ცრემლს გადმოჰყვა კიდევ ცრემლი
და ადინდა მისი ღვარი,
მაგრამ ამით არ შემწყდარა
კვლავ გაგრძელდა საუბარი,
ცოლი წასვლის ვარს ამბობდა
ურჩი გახდა, სხვა დროს წყნარი,
უწყალო ხელს უკანასკნელ
გამოეღო მათთვის კარი,
და სამშობლოს მოაცილა
ორი მისი მეგობარი...

## IX

კვლავ ფოთოლთ შორის
ნიავი დასჩურჩულებდა სალამოს,
ბულბული ვარდზე შემჯდარი
ჰანგს გაჰკიოდა საამოს,
მზე უკანასკნელ სხივებით
ეთხოვებოდა არესა,
ლაჟვარდი გულ-მკერდს უძღვნიდა
სხივ მომფინარე მთვარესა!
ხის ძირად იჯდა სიმონა
მზეს გაჰყურებდა ტრფობითა,
„მშვიდობით“ მის მიერ ნათქვამს
გულში იკრავდა გრძნობითა,
მზეც გტოვებს მეც გეთხოვები
წილად მხვდა სოფელო ესა,
მზე ხვალ კვლავ გადგეხვევა
მე კი არ ვიცი რა დღესა!
მშვიდობით ჩემო მდინარევ
და მორაკრაკე წყაროვო,
მშვიდობით ჩემო მიდამოვ
და მუხავ შეუდაროვო,
მშვიდობით ჩემო მურია
და ჩემო ხარო ირმაო
სულ ყველას, ყველას მომწყვიტა
წვალება გასაჭირმაო;
აწ აქ ზურაბა დარჩება
იმას დაატკბობთ თქვენაო,
ფულით იყიდა იმან დღეს
ეს ჩემი გულის ტკენაო,
რათ არ მომხედე, სად იყავ
თუ კი არსებობ ზენაო,
განა ამის მეტს არ ნიშნავს
კაცის კვნესა და წყენაო?!!
როცა მე ამ ხვედრს მიჭედდენ
მაშინ სად იყავ შენაო,
ნუ თუ არ მოგწვდა ვაება
და ოხვრა ამოდენაო?!.
სასიყვარულოთ შექმნილი
გზაზე ბორკილებს ამკიდეს;
სად სათნოება მესვენა
შურის ძიება ჩაჰკიდეს,
და აწ განკითხვის დღეს ვნატრობ
იქ უნდა ვსცადო ბედიო,
ბრძოლაა ჩემი იმედი
და ჩემი შამომქმედიო...

რ. ლეჩხუმელი.

მარა ეს მუხლები დამატებულია არა მუშების სასარგებლოთ, არამედ—მათ საწინააღმდეგოთ და გათასახსირებლათ. მაგ. მე 22 მუხლი პირდაპირ ავალებს არტელის წევრებს „სიშჩიკობას" და ჟანდარმების როლს აკისრებს. ამ მუხლის ძალით, **იმ არტელის წევრს, რომელიც აღმოაჩენს, რომ გადასატან-გადმოსატანი საქონელი არაა სისწორით აწონილი, აგრეთვე დაიჭერს უბილეთო მგზავრს საქონლის მატარებელზე** ეძლევა საჩუქარი. ასეთი საჩუქარის ნახევარი ემატება არტელის სათადარიგო თანხას, ხოლო მეორე ნახევარი იმ წევრს, რომელიც უბილეთო მგზავრს დაიჭერს და ყალბ წონას აღმოაჩენს.

ასე იცავს ეს სასიქადულო არტელი მუშების ღირსებას და პატივს!

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ამ „ვარიაგის" წესდების ის მუხლი, რომელიც ეხება წევრების ქონებრივათ პასუხის მგებლობას. არტელიდან დათხოვნილი თუ გამორიცხული წევრი **ერთი წლის განმავლობაში,** სადაც უნდა იყოს სულ ერთია, მაინც პასუხის მგებელია ქონებრივათ სამუშაოს მიმცემთა ინტერესების უზრუნველ საყოფათ (მუხ. 7). შემოღებულია აგრეთვე ჯარიმები,—50 მანეთი, არა ერთგულათ მუშაობისთვის და სხვა და სხვა...

დასასრულ წესდება აცხადებს, რომ არტელი მოვალეა დაემორჩილოს არა იმ კანონებს, რომლებიც დღემდის არის გამოცემული, არამედ იმ კანონებსაც, რომლებიც გამოცემული იქნება არტელის დაარსების შემდეგაც.

ამ პატარა წერილიდან მკითხველი დაინახავს, რომ ახალ და ძველ „ვარიაგს" შორის გარდა წვრილმანებისა, თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. კარგიც რომ იყოს განსხვავება, და თუნდაც რომ საუკეთესო წესდება ქონდეს, ის მაინც არტელია, და წესდებას არას დროს არ შეუძლია მოსპოს ის მავნებლობა, რომელიც მოაქვს არტელს საზოგადოთ მუშათა კლასისათვის.

**გალიორკა.**

# უკანასკნელი ფოსტა

## ახლო-აღმოსავლეთი

**აჯანყება თესალიაში.** საბერძნეთის პარლამენტში დეპუტატებმა შეკითხვა შეიტანეს თესალიის აჯანყების შესახებ. მინისტრმა დრაგუმისმა განაცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა სასტიკი ზომები მიიღოს მეამბოხეთა წინააღმდეგ, ვინც არ უნდა იყვენ ეს უკანასკნელნი.

რალიმ და თეოტოკოსმა დრაგუმისს მხარი დაუჭირეს.

ლარისიდან ათინაში დეპეშით ატყობინებენ, რომ თესალიაში მიტინგებმა წესიერათ ჩაიარა, მატარებლების მიმოსვლა არ შეჩერებულა.

რალიმ მიმართა პალატის თავმჯდომარეს და მოსთხოვა თესალიიდან ათინაში დაიბაროს დეპუტატი კარაისკაკისი, რომელიც თესალიელ აჯანყებულთა მეთაურათ ითვლება.

— პარლამენტის დეპუტატი კარაისკაკისი (ყოფილი კაპიტანი) ამ ჟამათ ქალაქ კახდიცის მახლობლათ არის დაბანაკებული 800 შეიარაღებული გლეხით. ის მთავრობისაგან მოითხოვს მემამულეების მიწების გამოყიდვას (ან გამოუსყიდველათ ჩამორთმევას) და ამ მიწების გლეხთა შორის განაწილებას.

გლეხებმა სამი მემამულის კარ-მიდამოები გადასწვეს.

აჯანყებულთა წინააღმდეგ ჯარები გაიგზავნა.

## საზღვარ-გარეთ

**მოსალოდნელი გაფიცვა.** სამხრეთ უელსის (ინგლისშია) ქვანახშირის მაღაროების მუშათა შორის დიდი მღელვარებაა. მრეწველებმა გადასწყვიტეს მუშებს დაუკლონ ხელფასი. ამის მიზეზათ მრეწველები იმას ასახელებენ, რომ 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ მრეწველობას დიდი ზარალი დაატყდაო. მრეწველებსა და მუშებს შორის გამართულმა მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაირა. მოსალოდნელია 200,000 მუშის გაფიცვა. ვაჭრობის სამინისტრომ გადასწყვიტა ქვა-ნახშირის მაღაროების მუშების და მრეწველების კონფერენცია მოიწვიოს კონფლიქტის თავიდან ასაცილებლათ.

**ქალი დეპუტატი შვეციაში.** კომუნალურ არჩევნების დროს დეპუტატათ აირჩიეს ქალი, სოციალდემოკრატების კანდიდატი. ეს პირველი მაგალითია შვეციაში, როდესაც კომუნალურ არჩევნებზე დეპუტატათ ქალს ირჩევენ.

**ბრძოლა საარჩევნო უფლებისათვის.** მთავრობის საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ ბრძოლა გერმანიაში ისევ გრძელდება. „რ. ს." გადმოცემით, კელნში, ესენში და რურის ოლქში მოხდა მიტინგების მთელი რიგი. მიტინგები ყველგან დემონსტრაციებით დასრულდა. სამთამადნო მუშები აცხადებენ, რომ მოძრაობას სათავეში ჩაუდგებიან და მთავრობისათვის არა სასურველ ბრძოლის საშვალებებს მიმართავენ, თუ მთავრობა დამახინჯებულ საარჩევნო რეფორმას არ შესცვლისო. ყველა მიტინგებმა მშვიდობიანათ ჩაიარა.

**ინგლისელების პროტესტი.** ბევრ ინინგლისურ გაზეთებში დაბეჭდილია საპროტესტო წერილი, რომელიც შეეხება რუსეთის მთავრობის მოქმედებას ფინლიანდიაში. „რ. ს." გადმოცემით, პროტესტს ხელს აწერენ ინგლისელი მეცნიერები, რომელნიც ფინლიანდიის უფლების კარგ მცოდნეთ ითვლებიან. გარდა ინგლისელებისა პროტესტზე ხელი უწერია ფრანგს, გერმანელს და გოლანდიელს.

## რუსეთი.

**პურიშკევიჩით „ამაყობენ".** კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის სტუდენტმა აკადემისტებმა პურიშკევიჩს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „ვამაყობთ თქვენით, როგორც ნამდვილი წარმომადგენელით სტუდენტების იმ ნაწილისა, რომელსაც ხელი არ ჩაუყვია საამხანაგო კასაში".

**დეპ. ჩხეიძემ** იურიევიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი თქვენი სახით გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს სახ. დუმის იმ დეპუტატებს, რამელნიც მხნეთ გამოესარჩლენ რუსეთის ქალს და მოსწავლე ახალგაზდობას და და რომელნიც ენერგიულათ შეებრძოლენ პურიშკევიჩის სამარცხვინო გამოსვლას და დუმის პრეზიდიუმს, რომელმაც პურიშკევიჩს მფარველობა გაუწია".

**სტუდენტების გაზეთმა** „სტუდენჩესკი მირ"-მა (მოსკოვში გამოდის) დუმის ოპოზიციის წარმომადგენლებს: ჩხეიძეს, ბულატს, ეფრემოვს და მილიუკოვს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: «რუსეთის სტუდენტების პატიოსან და თავდადებულ მეგობრებს დიდება და პატივი. მოგესალმებით სტუდენტების სახელით და მხურვალე თანაგრძნობას გიცხადებთ».

**ქალთა უმაღლეს კურსებზე.** მოსკოვში საერთო კრება მოიწვიეს, რომელზედაც მსჯელობა იქონიეს პურიშკევიჩის თავხედური გამოსვლის შესახებ 3, 5 და 6 მარტის სხდომებზე. კრებამ ერთხმათ გაკიცხა პურიშკევიჩის საქციელი და რეზოლიუცია მიიღო, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: «მოვალეობის ასრულებისათვის მადლობას არ უცხადებენ, —ამიტომ ჩვენ ქებასა და მადლობას არ ვუგზავნით სახ. დუმის იმ წევრებს, რომელნიც მოსწავლე ახალგაზდობას გამოექომაგენ. მათ ის გააკეთეს, რაც უნდა გაეკეთებიათ».

**კომერციული ინსტიტუტის** სტუდენტებმა (მოსკოვში) 10 მარტს საერთო კრება მოიწვიეს პურიშკევიჩის გამოსვლის დასაგმობათ. საპროტესტო რეზოლიუციების მიღების გამო კრება ორ ნაწილათ გაიყო. კრების ერთმა ნაწილმა (130) კაცმა) მიიღო რეზოლიუცია რომელიც ამბობს: მოსკოვი კომერც. ინსტიტუტის სტუდენტი ქალები და კაცები აღშფოთებულნი სახ. დუმის თავმჯდომარის მოქმედებით, რომელმაც ნება მისცა პურიშკევიჩს ლანძღვა გინებით მოეხსენებია მოსწავლე ახალგაზდობა, აღტაცებით ეგებება დუმის ოპოზიციის გამოსვლას მოსწავლე ახალგაზდობას დასაცავათ".

კრების მეორე ნაწილმა (271 კაცი) დეპეშა გაუგზავნა დეპუტატ გეგეჭკორს, რომელშიაც სასტიკ პროტესტს აცხადებს პურიშკევიჩის უმსგავსო საქციელის წინააღმდეგ და მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს სახ. დუმის მარცხენა ფრთას.

**კიევის პოლიტეხნიკუმის** სტუდენტები ხელის მოწერას აგროვებენ საპროტესტო რეზოლიუციაზე, რომელიც პურიშკევიჩის საზიზღარ საქციელს სასტიკათ გმობს.

**კრების აკრძალვა.** კიევის უნივერსიტეტის მთავრობამ ნება არ დართო სტუდენტებს საერთო კრება გაემართათ პურიშკევიჩის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ.

# პროვინცია

**ლანჩხუთი.** ჩვენი სოფლები რომ „გაქალაქების" გზას ადგია ეს კარგი ხანია რაც ცნობილია. ქართველები „მიმბაძველობის" მანიით რომ ვართ შეპყრობილნი, ესეც ცხადია... მე მაინც ვერ წარმომედგინა, თუ ეს „გაქალაქება-მიბაძვა" ასეთი სისწრაფით დაიწყებდა განვითარებას ჩვენს კურთხეულ მხარეში. იყო დრო და მას შემდეგ არც ისე დიდი ხანია, როცა „გვირგვინებით" დასაფლავება გამონაკლისს შეადგენდა. ახლა? ახლა „ვენოკი" თუ არ მიიტანეს, ისე ღმერთმა ნუ დაამარხვიოს ოსიკელას თავისი ოთხმოცდა ერთი წლის ხვარამზია! ჩვენს დაბაშიაც ასეთ მოვლენებს ხშირათ აქვს შემთხვევა... საწყალი, გაღატაკებამდის მისული სოფლელი უკანასკნელ კაპეიკებს არ იშურებს, რომ მტერ-მოყვარეში არ გამოწყდეს. რას იზამთ? ეს ასეა ახლა შემოღებული „მოდაში"...

„ახალი სხივის" მკითხველს მოეხსენება, თუ როგორ მოხდა აქ განხეთქილება ქალებს და მამაკაცებს შორის, ისიც მოეხსენება, თუ როგორ ცალ-ცალკე მართავდენ მას შემდეგ „ქელეხებს" ეს ორი «პარტია». ეხლა ღვთის წყალობით ეს ორი «პარტია" შეერთდა. ამ დიდებულ აქტის აღსავიშნავათ აქ გასულ კვირაში მოხდა შესანიშნავი „რაუტი». ბილეთების ფასი მამაკაცებზე ექვსი აბაზი, ქალებზე კი „მხოლოთ" სამი აბაზი იყო. დაესწრენ „ზოგი ის", „ზოგი ის" არ შევუდგებით იმის აღწერას, თუ როგორ და რა „წარმოიდგინეს" დამსწრეებმა, აღვნიშნავთ გაკვრით მხოლოდ იმას, რომ სადღეგრძელოებს დასასრული არ ქონდა. ბოლოს „თეატრის საქმეც" გაახსენდათ და ქალებმა თავისებური თავაზიანობით მოითხოვეს მამაკაცებისაგან დახმარება ამ საქმის მოსაგვარებლათ. ერთმა დამსწრემ (ყური მოვკარი) მეზობელს გადაულაპარაკა ჩუმათ:—უკეთესი არიქნებოდა ეს ფულები, რაც ამ „ქელეხზე" დახარჯეთ, რამე კეთილ საქმეს მოხმარებოდა, თუ გინდ იმ „თეატრს», რომლის მოწყობაც დღე-მუდამ პირზე გაკერიათო?? კარგს მთქმელს, კარგი გამგონეც უნდაო ნათქვამია, უკანასკნელნი კი ჩვენში ნაკლებათ მოიპოვებიან.

ვის არ ახსოვს ის დრო, როცა ჩვენ დაბაში მშვენიერი სამკითხველო იყო. შეგეძლოთ გეშოვათ თითქმის ყველა რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები. წიგნებიც საკმაოთ იყო. ეხლა კი? სამკითხველოს ქოხი-და არის მარტო, შიგ ფეხმოტეხილი სტოლი დგას, არც ერთი გაზეთი. წიგნებმა ხომ დიდი ხანია რაც თქვენი ჭირი წაიღო! რას აკეთებს ბ-ნი გამგე?? მიბრძანდით და კითხეთ ეს მას, ის არც ისე შორს არის სამკითხველოდან, მარა რას ვერჩით მარტო ამ გამგეს? რას აკეთებენ სხვები? მართლაც იმ „ქელეხზე" დამსწრის არ იყოს, „უკეთესი არ იქნებოდა „ქელეხზე" და ქეიფში, რომ ხუთ ექვს თუმანს ხარჯავენ, სამკითხველო წამოაყენონ ფეხზე?!! მკითხველო, თქვენ არ გეგონოს ასეთი „რაუტი" პირველი იყოს აქ... ამ მოკლე ხანში ასეთი «რაუტი" მესამე თუ მეოთხეჯერ იმართება. რას იზამთ? ხომ იცით „მოდაში" რაც შემოვა, ის აქ უეჭველათ უნდა გატარდეს! სამკითხველოსთვის აბა ვინ უნდა იტკივოს თავი ასეთ დროს!!.

აი კიდევ ერთი ნიმუში „გაქალაქების". ჩვენს დაბას წინათ ესტუმრა ბ-ნი კალანდაძე დიდებული ცირკით. ყველა ისე წინასწარმეტყველობდა, რომ ბ-ნი კალანდაძე ტყავს დატოვებსო, მარა ეს მოსაზრება არ გამართლდა! ბილეთების ფასიც ხომ საზღაპრო არის! შეიქნა ერთი ფაცური „ბილეთების ფულიში", დაიწყეს კვერცხების გაყიდვა, სიმინდი ხომ დიდი ხანია რაც გაყიდულია. რას იზამთ? ცირკისთვის ფულია საჭირო. ათასგვარ გადასახადებიდან შევიწროვებული სოფელი კი კვნესის და ოხრავს!!!

**ახალგაზდა ზეფონი.**

**ხონი** 7 მარტს მოხდა ადგილობრივ წ. ქ. გ. ს. წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრენ 24 ნამდვილი, წევრი რამდენიმე ახლები და კერძო პირნიც. განსახილველი და დასამტკიცებელი იყო 1909 წლის ანგარიშები, 1910 წ. ხარჯთ აღრიცხვა და გამგეობის ერთი წლის მოქმედება. კრებას თავმჯდომარეობდა ალექსი ჭიჭინაძე, წამოყენებული იყო აგრეთვე კითხვა საწევრო ფულის ერთ მანეთამდის შემცირების შესახებ. ეს კითხვა განსახილველათ გამგეობამ ერთ წევრს ზ. კიკალიშვილს შეუტანია ადგილობრივ განყოფილებაში. ასარჩევი იყო აგრეთვე გამგეობის ერთი წევრი. ეს წევრი შ. მიქელაძის მაგიერია, რომელიც თფილისში გადავიდა. გამგეობამ გამოსთქვა აგრეთვე სურვილი მიემატებიათ მათთვის კიდევ ერთი წევრი, რადგანაც საქმეებს ვერ აუდიოდნენ. 1909 წლის განმავლობაში საზოგადოებას თავს უდგია ადგილობრივ სამკითხველოს შენახვა, გაუხსნია წიგნის მაღაზია და თავის მფარველობის ქვეშ მიუღია თეატრი, რისთვისაც გამგეობის ორ წევრისათვის დაუვალებიათ თეატრის საქმეების მართვა სცენის მოყვარეებთან ერთად. გამგეობას განუზრახავს სახალხო სახლის აშენება, რისთვისაც ქუთაისის გუბერნატორისათვის სათანადო თხოვნით მიუმართავთ, რომ მიეცათ ნება გამგეობისთვის გაეგზავნათ საზოგადოების ერთი წევრი სხვა და სხვა ქალაქებში და შემოწირულებანი შეეკრიბათ, მაგრამ ეს თხოვნა გუბერნატორს უყურადღებოთ დაუტოვებია. უთხოვნიათ აგრეთვე სახალხო ლექციების მოწყობის ნებართვა, მაგრამ ამაზეც უარი მიუღიათ. თეატრალურ კომისიას გვარიანათ უწარმოებია საქმეები და მთელი სეზონის განმავლობაში სისტემატიური წარმოდგენები გაუმართავს. გამგეობა აღიარებს, რომ აქ სათეატრო საქმეს ნიადაგი მომზადებული აქვს და მოუწოდა საზოგადოებას დაარსოს დრამატიული საზოგადოება. მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცეს 1909 წ. ანგარიშები და 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხა. სარევიზიო კომისიამ წარმოადგინა მრავალი სამართლიანი შენიშვნები. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკას მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 52 წიგნი შეუძენია და როდესაც ეს სარევიზიო კომისიამ, მიუხედავათ უსახსრობისა, სამწუხაროთ აღნიშნა, გამგეობამ უპასუხა «მეტი არ მოხერხდა". სარევიზიო კომისიამ მოუწოდა აგრეთვე გამგეობას იქონიოს დამოკიდებულება სოფლის ინტელიგენციასთან, თორემ ასეთი ბოგინით შორს ვერ წავალთო. სარევიზიო კომისიამ მოახსენა საზოგადოებას აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბიბლიოთეკაში დამშვებიდან ავთი მოდისო. ამ სიტყვებმა თითქმის ირონიული დაცინვაც გამოიწვია, როდესაც მართლაც დრო გამოშვებით გაზეთიც არ შეგიძლია ხელში აიღო ისეა დასვრილებული ნავთისაგან. აღნიშნა ისიც, რომ ბიბლიოთეკას ზამთრობით არ ათბობენ რის წყალობითაც მკითხველები გაურბიან სამკითხველოს. საერთოდ სარევიზიო კომისიის შენიშვნები ყველა სამართლიანი იყო და კარგს იზამს გამგეობა თუ ყველა შენიშვნებს მიიღებს მხედველობაში. კრებამ მიიღო ერთ ხმათ მიეცეს ადგილობრივ განყოფილებას და აგრეთვე სხვებსაც უფლება გზავნონ დელეგატები გადამწყვეტი ხმით თფილისის ცენტრალურ განყოფილებაში წლიურ კრების დროს. ჯერი მიდგა საწევრო ფულის ერთ მანეთამდის შემცირების შესახებ კამათზე. ილაპარაკა ზ. კიკალიშვილმა, არავის კრინტი არ დაუძრავს საწევრო ფულის შემცირების წინააღმდეგ და ყველა თანხმობას აცხადებდა და როდესაც კი ჯერი კენჭის ყრაზე მიდგა, გასაოცარი ამბავი მოხდა: ხმის უმეტესობით უარყვეს საწევრო ფულის შემცირება.

აი რას ნიშნავს პირ-ბადე ახვევულ ხალხის სულისკვეთება. ამგვარათ, ხონის განყოფილებამაც კვერი დაუკრა თფილისის გამგეობას და უარყო ეს საშინელი აზრი—«ერთი მანეთი". ამის შემდეგ აირჩიეს გამგეობის ორი წევრი. **დროებით ხონელი.**

სანამ კრება საქმეების განხილვას შეუდგებოდა თავმჯდომარემ მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულ მარიამ დემურიას ხსოვნისთვის. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დემურიას ხსოვნას და გამოსთქვა სურვილი დეპეშით თანაგრძნობა გამოეცხადებინა მის ნათესავებს. **დრ. ხონელი.**

# მუშათა შორის

**ნოვოროსიისკის ქართველ მუშების ცხოვრებიდან.** აქ ორი წლის წინათ რამდენიმე ასი ქართველი მუშა მუშაობდა, უმეტესათ გემთა დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეზე. დღეს ადგილობრივ გუბერნატორის განკარგულებით ყველა დაწესებულებას აკრძალული აქვს იყოლიოს ქართველი მუშები, გარდა ცემენტის ზავოდებისა, სადაც დაახლოვებით ოთხმოცამდე გურული და იმერელი მუშაობს. ამათგან ოცდა თხუთმეტი შედის არტელში და დანარჩენები კი დღიურები არიან. უკანასკნელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. მოდიან იმ იმედებით, რომ აქ იმუშავებენ დროებით და თან შეიძლება აქედან რამე სხვა საქმე იშოვონ. ცემენტის ზავოდის არტელი კი, მიუხედავათ იმისა, რომ დიდ ქირას იღებენ, მაგალითად ზაფხულში თვეში 150 მ. და ხან მეტსაც, მუდამ იმის ცდაში არიან, რომ არ მიიღონ არტელში წევრი და დღიურებსაც ხელფასი რაც შეიძლება შეუმცირონ, 1905 წლიდან დღიურები ღებულობდენ ორ მანეთს, გასულ წელში არტელი შეეცადა მოეკლო ერთი აბაზი, მაგრამ დღიურებმა მათ წინააღმდეგ ზომები მიიღეს და შეინარჩუნეს დღიური ორი მანეთი. მოსთხოვეს არტელს, რომ წევრთა რიცხვი ორმოცამდე აევსვნა. არტელის წევრებმა აქაც ხრიკი იხმარეს და არტელის წევრათ ჩასთვალეს მზარეული კობიძე, რომელსაც დღეს უარს ეუბნებიან არტელის წევრობაზე. ამით ჩვენ დღიურები გვატყუეთ, თორემ შენ არტელში არ გაქვს ადგილიო. იხელთეს თუ არა დრო, დაიწყეს არა-პატიოსნური მოქმედება, ადგილების გაყიდვა, არტელის წევრის დაჯარიმება და სხვა. მაგალითად, გააყიდვინეს შერმანდო კალანდაძეს ადგილი 270 მანეთათ, დააჯარიმეს თეოფილე ჩხიკვიშვილი 200 მანეთით იმიტომ, რომ მას ვიდაცის კანდიდატურა წამოეყენებია სამი ოთხი წლის წინათ რის შემდეგ იძულებული გამხდარა არტელს მიეღო ის წევრათ. ამასაც არ დასჯერდენ, გასულ თვეში შეიკრიბენ და არტელიდან გააძევეს, ვითომც მოხუცებულობის გამო, სტეფანე ჩიგოგიძე, ნება მისცეს გაეყიდნა ძველათ კუთვნილი ადგილი, რომელმაც გაყიდა კიდეც 400 მ. ნაღდ ფულზე. მიჰყიდა ვიდაც გოგიტაძეს. იმანე კრებაზე დაადგინეს, რომ დღიურებს არ მისცენ მანეთ-ნახევარის მეტი, რაც მეორე დღესვე მოიყვანეს სისრულეში. სამწუხარო ის არის, რომ ერთი დღიურთაგანი არავინ დაესწრეს კრებაზე, რომ აეხსნათ თავიანთი მდგომარეობა. როცა რამოდენიმე მათგანს ვკითხები, თუ რატომ ჩაიდინეს ეს, ასე გეტყვის: ოთხები მანეთათ მუშაობენ და თქვენ თუ მანეთ ნახევარს გაძლევთ, რატომ არ გვიმადლითო.

დრო გონს მოვიდენ არტელის წევრები და შეიგნონ, რომ ისინიც მუშები არიან და მუშისაგან მუშის გაყვლეფა პოლიტიკური ეკონომიის „ტიბიკონში" არ სწერია.

**რაბოჩამე.**

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

# განცხადება

ქუთაისში

კიღმარაშვილის და ამხანაგობის

**თესლეულობის მაღაზიაში**

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების **პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი.** მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—5)


ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობრი

მაღაზია

კ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები", „კლიონკები" და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—5)